ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვის შესახებ №Ე/3504/25

თბილისი „04“ „08“ 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მინისტრის მოადგილის, ვალერი კვარაცხელიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ორიენტირი“, მისი დირექტორის ლაშა ლაშაურის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, გამიჯვნის ნახაზის დამზადების მომსახურების (CPV 713 00000) შესყიდვაზე „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ასიგნებების ფარგლებში, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 1620 (ერთი ათას ექვსას ოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულებისღირებულება“) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შემსყიდველი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელებს:

3.1.1. ქ. დედოფლისწყაროში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით - 52.08.35.240) გამიჯვნის ნახაზის შედგენა. მიწის ნაკვეთის ფართი 17 842 კვ.მ შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართობი 1860.01 კვ.მ.

3.1.2. ქ. ზუგდიდში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით - 43.31.76.233) გამიჯვნის ნახაზის შედგენა. მიწის ნაკვეთის ფართი 2 276 კვ.მ.

3.1.3. ქ. ზუგდიდში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით - 43.31.76.208) გაერთიანების ნახაზის შედგენა. მიწის ნაკვეთის ფართი 840 კვ.მ.

3.1.4. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში მდებარე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით - 50.05.34.198 (2773 კვ.მ) და 50.05.34.177 (250 კვ.მ)) გაერთიანების ნახაზის შედგენა. მიწის ნაკვეთის ფართი 3023

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება ხორციელდება ერთჯერადად, მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის შემდეგ, აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტისმიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აზომვითი ნახაზი და მისი ელ. ვერსია.

7. მხარეთავალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მისი დამთავრება დადგენილ ვადებში.

7.1.4. მომსახურების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს მაღალკვალიფიციურ დონეზე, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვით.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
7.2.3. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდანარაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
7.2.4. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთაუფლებები
8.1. „მიმწოდებელს" უფლებააქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული დასრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლებააქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არისფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდება ზეემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებებით შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ისოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 6%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირებისპირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი;

14.2. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლ. სარია.

15. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, თუ მხარე სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;.

17. დასკვნითიპირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900	შპს „ორიენტირი“ თბილისი, ვაზისუბნის დასახლება 2ა მ/რ კორ.20, ბ N134 ს/კ 406034036 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE96 BG 000 0 000 270 085 300
ვალერი კვარაცხელია **მინისტრის მოადგილე**	**ლაშა ლაშაური** **დირექტორი**

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

მ. თავთეთრიშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. გვასალია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„04“ „08“ 2016

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს **„ორიენტირი“–ს მიმართ,** სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

თ. შალამბერიძე